ელენე რამინაშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
erami18@freeuni.edu.ge

ლაიციზმის გავლენა რადიკალური ისლამის ზრდაზე საფრანგეთში

რეზიუმე

2015 წელი საფრანგეთის ისტორიაში ისლამისტური თავდასხმების კუთხით განსაკუთრებით მძიმე და ტრაგიკული იყო. სატირულ ჟურნალ, „შარლი ებდოზე", სასტიკი ტერორისტული თავდასხმა გამორჩეულად ტრავმული იყო, რასაც მოგვიანებით მოჰყვა სხვა თავდასხმებიც. ერთ-ერთ ბოლო და გახმაურებული ტერაქტი მოხდა სკოლასთან ახლოს, როდესაც მოსწავლემ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ნიადაგზე თავი მოჰკვეთა მასწავლებელს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საფრანგეთში მკვეთრად გაიზარდა რადიკალური ისლამი და ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა, რომლებიც ჩადენილი იყო ქვეყნის შიგნით მცხოვრები მუსლიმების მიერ. ტერორიზმის გლობალური ინდექსის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის საფრანგეთი რადიკალური ისლამური ტერორიზმის კუთხით პირველ ადგილს იკავებს (The Global Terrorism Index, 2020). ამ სასტიკი და ხშირი თავდასხმების შემდეგ საფრანგეთი დადგა მთავარი კითხვის წინაშე: რატომ არის ის ნომერ პირველი სამიზნე ისლამისტი ტერორისტებისთვის ევროპაში და როგორ უნდა უპასუხოს აღნიშნულ პრობლემას.

რადიკალური ისლამის გაძლიერება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, თუმცა საფრანგეთის შემთხვევაში ხშირად საუბარია ინტეგრაციის პრობლემაზე, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ფრანგული სეკულარიზმის ხისტი მოდელით, ლაიციზმით. საინტერესოა, რომ ამ მოდელს სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ მისი მომხმრეები და მოწინააღმდეგეები. ფრანგებისთვის ის რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, რომელიც ამავდროულად ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, თუმცა მისი მოწინააღმდეგეების აზრით, ეს მოდელი პირიქით ხელს უშლის მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესს. შედეგად ჩნდება იდენტობის კრიზისი და იმედგაცრუების გრძნობა, რაც დიდ როლს თამაშობს რადიკალიზაციის პროცესში.

არსებული უსაფრთხოების პრობლემიდან გამომდიანარე, საჭიროა ამ მოდელის ანალიზი და მისი რეალური გავლენის დადგენა რადიკალური ისლამის აღზევებაზე. ამასთან ერთად, დადგენა თუ რამდენად თავსებადია ან პირიქით შეუსაბამოა რესპუბლიკის ღირებულებები ისლამთან.

საკვანძო სიტყვები: ლაიციზმი (laïcité), უნივერსალიზმი, ისლამირსტური ტერორიზმი, რადიკალიზაცია, ინტეგრაცია.

ლაიციზმი (laïcité) რესპუბლიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული, უნიკალური ფრანგული სეკულარიზმის მოდელია, რომელიც 1905 წლის კანონით ამოქმედდა. ის გულისხმობს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას, რომელმაც დროთა განმავლობაში სეკულარიზმის ზოგადი დეფინიციისგან განსხვავებით ინსტიტუციონალური დატვირთვაც მიიღო. ლაიციზმი, რომელიც კონსტიტუციური პრინციპია, სახელმწიფოს აიძულებს რელიგიური ჯგუფებისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულება ჰქონდეს და ამის საპირისპიროდ რე-

ლიგიურ ორგანიზაციებს სახელმწიფო ინსტიტუტების კონტროლის და მათზე ზემოქმედების საშუალებას არ აძლევს. მისი სტრუქტურა რელიგიის აღსრულების თავისუფლების გარანტიასაც მოიცავს, უბრალოდ იმ პირობით რომ რელიგია პირადი სივრცის საკითხია და ის არ შეიძლება საჯაროდ იყოს გამოხატული (Alouane 2021).

ერთი შეხედულების მიხედვით, ლაიციზმი ხელს უწყობს სხვადასხვა მრწამსის მქონე ადამიანების ინტეგრაციას, რადგან საჯარო სივრცეში აკრძალულია ნებისმიერი რელიგიური სიმბოლოს ტარება, შედეგად ადამიანები გარეგნული ნიშნით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გაზრდილი ტერორისტული შემთხვევების ფონზე, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, განაცხადა, რომ „სეპარატიზმთან“ ბრძოლაში საჭიროა ლაიციზმის გაძლიერება და რესპუბლიკური პრინციპების კონსოლიდაცია“ (Ministère de l'Europe et des Affaires étrangères 2020). ეს განცხადებაც მეტყველებს იმაზე, რომ ლაიციზმის როლი პოზიტიურ კონტექსტში არის განხილული, რომელიც გამოყენებულია რადიკალიზაციასთან ბრძოლაში.

მეორე მხრივ, მუსლიმები, რომლებიც აპროტესტებენ ლაიციზმის უფრო მეტად იდეოლოგიურ ინტერპრეტაციას, თვლიან, რომ ის გამოყენებულია იარაღად, რომელიც ცდილობს მუსლიმების იდენტობის წაშლას, მაგრამ ამავდროულად გამორიცხავს მათ ფრანგული იდენტობებიდან. ისინი გრძნობენ და შიშობენ, რომ ეს არსებითად ლიბერალური პრინციპი სულ უფრო მეტად ხდება ანტი-მუსლიმური რასიზმის საფუძველი, რომლებიც ადანაშაულებენ მუსლიმებს ინტეგრაციის წარუმატებლობაში, ისევე როგორც სხვა სოციალურ პრობლემებში (Alouane 2021).

ფრანგული იდეალი: Laïcité და უნივერსალიზმი

ევროპა დგას გამოწვევის წინაშე იპოვოს საუკეთესო გზა მუსლიმთა ინტეგრაციისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საფრანგეთისთვის, რადგან საფრანგეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს სწორედ მუსლიმი თემი შეადგენს, ხოლო ტერორისტული აქტების თვალსაზრისით ნომერ პირველი სამიზნეა ევროპაში. საფრანგეთისთვის დიდი გამოწვევაა დაიცვას რესპუბლიკური ღირებულებები და ამავე დროს დააკმაყოფილოს მუსლიმი უმცირესობების უფლებები და რელიგიური პრაქტიკა. ხშირ შემთხვევაში ეს ორი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან.

ფრანგული ინტეგრაციის მოდელისა თუ *ლაიციზმის* კონცეფციის გასაგებად საჭიროა უნივერსალიზმის პრინციპის გაგება, რომელიც ისტორიულად მნიშვნელოვანია ფრანგულ საზოგადოებაში. უნივერსალიზმი ემყარება რწმენას, რომ ყველა რაციონალურ ადამიანს აქვს გარკვეული საერთო ღირებულებები და პრინციპები, მიუხედავად ისტორიული, კულტურული და სხვა განსხვავებებისა. ეს იდეები შთაგონებული იყო განმანათლებლობის პერიოდიდან და 1789 წლის რევოლუციური ღირებულებებით, რამაც შექმნა ფრანგული უნივერსალიზმის მთავარი იდეები „ადამიანის უნივერსალური თავისუფლება, თანასწორობა და გონი (reason)“, რომელიც ანაცვლებს „კონკრეტულ ენებს, ეთნიკურობასა და განსხვავებულ კულტურას“ (Bader 1997, 793).

საჯარო სივრცის ნეიტრალიტეტი აუცილებელია ამ მოდელის სწორი ფუნქციონირებისთვის, სადაც მოქალაქეებს, განურჩევლად მათი რეგიონალური, ეთნიკური ან რელიგიური წარმომავლობისა უფლება აქვთ, შეიძლება ითქვას მოეთხოვებათ კიდეც გაერთიანდნენ როგორც თანასწორნი, რათა დაამყარონ საერო რიტუალები და სოციალური წესრიგის საერთო ღირებულებები (Observatoire de la Laïcité 2017).

ეს ტერმინი განსაკუთრებით აქტუალური იყო კოლონიალიზმის პერიოდში, როდესაც საფრანგეთი ცდილობდა უნივერსალური ღირებულებების დამკვიდრებას ახლო აღმოსავლეთის კოლონიზებულ ქვეყნებში, თუმცა ეს ღირებულებები არ ყოფილა იდენტური არაბული კულტურისთვის, ამიტომ საფრანგეთი ცდილობდა ასიმილაციის გზით მისი თვალით დანახული უნივერსალური იდეების დამკვიდრებას. დღემდე, წვდომა უნივერსალურზე საკვანძო ფრაზაა ეროვნული თვითწარმოდგენისა და იდენტობის დისკურსში (Hennette-Vauchez 2019).

ფრანგული ინტეგრაციის პროცესი რადიკალურად განსხვავდება სხვა დასავლური მოდელებისგან და ის ძირითადად კონცენტრირებულია უნივერსალიზმის პრინციპზე. საფრანგეთს მიმღეობა აქვს ყველა მიგრანტის, რომელიც აღიარებს რესპუბლიკის საერთო ღირებულებებს. ამგვარად, ემიგრანტებს მოუწოდებენ გახდნენ მოქალაქეები იმ პირობით თუ აღიარებენ საფრანგეთის დომინანტ კულტურულ და პოლიტიკურ ღირებულებებს. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რომ ის, რაც ადამიანებს აკავშირებს, არის საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებები და არა რასობრივი ან ეთნიკური მახასიათებლები (Schor 2001, 46).

ეს მოდელი რადიკალურად განსხვავებულია მაგალითად ბრიტანული მოდელისგან, რომელიც პირიქით მულტიკულტურალიზმზე და განსხვავებულობაზეა ორიენტირებული, სადაც ინდივიდუალური იდენტობა ხელშეუხებელია (Bawer, 2006). ამ კონტექსტში უნივერსალიზმის იდეა პარადოქსული გამოდის, რადგან საყოველთაო ფრანგული იდენტობის შენებისთვის მოითხოვს კონკრეტული ინდივიდუალური იდენტობის უარყოფას, მუსლიმების შემთხვევაში ეს არის მათი რელიგიური პრაქტიკა და გარეგნული გამოხატულება, რომელიც მხოლოდ პირადი სივრცის ადგილას რჩება. ფრანგულ მოდელს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ უარყოფს ტოლერანტობას, რადგან ლოგიკურად თუ საჯარო სივრცეში ყველა ერთნაირია და განსხვავება მხოლოდ პირად სივრცეში ინდივიდუალურ დონეზე ვლინდება, მაშინ არ არსებობს განსხვავებები, რომელთა შემწყნარებლობაც საჭიროა, იმ გაგებით, რომ არასოდეს იარსებებს მოქალაქეთა საწინააღმდეგო/განსხვავებული შეხედულებების ერთმანეთში გაცვლის შესაძლებლობა (Schor 2001, 50).

საინტერესოა იმის ანალიზი, რამდენად შესაფერისია ქრისტიანული ან ისლამური პრაქტიკა ლაიციზმთან და რატომ არსებობს კონფლიქტი ისლამსა და ლაიციზმს შორის, მაშინ როდესაც ქრისტიანული რელიგიისთვის ეს მოდელი მისაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეპოქაში რელიგიური პრაქტიკა ევროპაში საგრძნობლად შემცირდა, ჯერ კიდევ შედარებით მაღალია ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა. მორწმუნეების დიდი ნაწილი პასიურია, რაც გულისხმობს რელიგიური პრაქტიკის ნაკლებობას. თუმცა, ევროპულ ქრისტიანულ ტრადიციაში არ არსებობს რწმენის საჯარო გამოხატვის მოთხოვნა, სწორედ ამიტომ ქრისტიან მოსახლეობას არ ჰქონია კონფლიქტი *ლაიციზმის* პრინციპებთან. მაშასადამე, Laicité თავსებადია ქრისტიანობასთან სწორედ იმიტომ, რომ ეს რელიგია არ საჭიროებს რწმენის საჯარო გამოხატვას (Klausen 2005, 155).

განსხვავებით ქრისტიანული რელიგიისა, ისლამი მოითხოვს საჯარო რიტუალებსა და რწმენის გარეგნულ სიმბოლოებს, სწორედ აქ ჩნდება მთავარი კონფლიქტი და შეუსაბამობა *ლაიციზმთან.* თავის მხრივ, ფრანგები იცავენ რელიგიის თავისუფლებასა და მის პრაქტიკას, თუმცა მხოლოდ პირად სივრცეში. მაგრამ, ისლამის ხუთი ბურჯიდან ოთხი - „შაჰადა“ (ალაჰის ერთადერთობისა და მის მოციქულად მუჰამედის აღიარება), „*სალაჰი*“ (რიტუალური ლოცვა), „*საკმი*“ (მარხვა რამადანის დროს) და „ჰაჯი“ (რიტუალური პილიგრიმობა მექაში) - სხვა საჯარო რიტუალებთან ერთად, როგორიცაა ცხოველთა მსხვერპლშეწირვა *ʻიდ ალ-ადჰას* დღესასწაულზე საჭიროებს მუსლიმი თემის ერთობასა და საჯარო აღნიშვნას (Hooker 2019).

სწორედ ეს არის მთავარი შეუსაბამობა ფრანგულ სეკულარიზმის მოდელსა და ისლამს შორის. მეორე მხრივ, ფრანგები თავიანთი ტრადიციებითა და რესპუბლიკური ღირებულებებით არანაკლებ მგრძნობიარენი არიან რელიგიის საჯაროდ გამოხატვის მიმართ და მათ აქვთ მძაფრი რეაქცია, როდესაც მუსლიმები დაჟინებით ითხოვენ განსხვავებული რელიგიური იდენტობის საჯარო მტკიცებას (Bowen 2007).

Ni Arabe Ni Francais: ფრანგი მუსლიმები და იდენტობის ევოლუცია

ევროპაში გაზრდილია ანტი-მიგრანტული დამოკიდებულები, როგორც საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ ელიტაში. მუსლიმების მიმართ ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ისინი შეუთავსებლები არიან დასავლურ ღირებულებებთან და მათი ასიმილაცია ვერ მოხერხდება.

როგორც კოლონიურ წარსულში, თანამედროვე პერიოდშიც ხშირად მიემართებათ რეპლიკები - „ჩამორჩენილები," „რელიგიური ფანატიკოსები" (Bowen 2008, 42).

ტერორიზმის მამოძრავებელი არაერთი ფაქტორი არსებობს. თუმცა, საფრანგეთში, სადაც განსაკუთრებით მაღალია ისლამისტური ტერაქტების რაოდენობა, ხშირად საუბარია ინტეგრაციის პრობლემაზე. ამ კონტექსტში საფრანგეთს ხშირდ ადანაშაულებენ მკაცრი სეკულარიზმის მოდელის, ლაიციზმის, გამო, სადაც მუსლიმებს არ შეუძლიათ საკუთარი რელიგიური იდენტობის წარმოჩენა, შედეგად თავს გრძნობენ გარიყულად. ისინი ვერ ახერხებენ ბოლომდე ფრანგულ სოციუმში ინტეგრაციას, მაგრამ ამავდროულად ფრანგული უნივერსალიზმის პოლიტიკიდან გამომდინარე შერყეულია მათი პირვანდელი იდენტობაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინააღმდეგობის ფონზე მუსლიმები კიდევ უფრო მეტად ცდილობენ თვითდამკვიდრებას საკუთარი რელიგიური იდენტობით. მათ სურთ აღიარებულები იყვნენ როგორც ფრანგებად ასევე მუსლიმებად.

ფერჰარდ ხოსროხავარი ნაშრომში, სადაც აანალიზებს ისლამისტური ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული პირების პროფილებს, მუსლიმების მდგომარეობას აღწერს „გაორების" გრძნობით (Khosrokhavar 2006, 41). მისი თქმით, მუსლიმებს სურთ ფრანგული საზოგადოების ნაწილად ყოფნა, მაგრამ ამავე დროს ისინი გრძნობენ საპირისპოს, ამ დროს ძლიერდება მათი პირვანდელი იდენტობა, რომელიც ფრანგული საზოგადოებისთვის მიუღებელია. ეს განცდები მკაფიოდ ჩანს მის მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში პატიმრებთან. ინტერვიუში ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული პირები აღწერენ ფრანგულ საზოგადოებას, რომელსაც აკლია პატივისცემა და ლოიალური დამოკიდებულება ისლამის მიმართ (Khosrokhavar 2006, 130).

ხოსროხავარის ნაშრომიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინააღმდეგობისა და შეზღუდვების ფონზე, მუსლიმები ცდილობენ უფრო მეტად გააძლიერონ თავიანთი რელიგიური იდენტობა და მოიპოვონ სასურველი აღიარება. თუმცა, საფრანგეთს ისტორიული ღირებულებებიდან და რესპუბლიკური იდეალებიდან გამომდინარე არ აქვს მიმღეობა რელიგიური გამოხატულებების მიმართ. მეტიც, უნივერსალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ცდილობს დათრგუნოს სხვა იდენტობები და საზოგადოების გაერთიანება შეძლოს რესპუბლიკური ღირებულებების გარშემო. ფრანგული და ისლამური იდენტობების კონფლიქტი მუსლიმებში იწვევს პატივისცემისა და ღირსების დაკარგვას. შედეგად ჩდება იმედგაცრუების განცდა, რომლის დაძლევასაც ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებით ცდილობენ. ამ ორგანიზაციებმა ზუსტად იციან საჭიროებები და უზრუნველყოფენ მათთვის საჭირო აღიარებასა და პატივისცემას.

დასკვნა

ბოლო ოცი წლის განმავლობაში საფრანგეთში მკვეთრად გაიზარდა რადიკალური ისლამი და ტერორისტული თავდასხმები, რომლებიც ჩადენილი იყო ქვეყნის შიგნით მცხოვრები მუსლიმების მიერ. საფრანგეთისთვის ისლამისტური ტერორიზმი დიდი გამოწვევაა, რაზეც მეტყველებს თავდასხმებისა და გარდაცვლილების რაოდენობა, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდია.

რადიკალური ისლამის გაძლიერება ბევრი მიზეზით შეიძლება აიხსნას, თუმცა ტერორისტების პირადი პროფილები ცხადყოფს, რომ მისი საფუძველი შეგვიძლია ინტეგრაციის სირთულეში ვიპოვოთ. ამ კონტექსტში, ფრანგი მუსლიმებისთვის მთავარი დაბრკოლება ფრანგული სეკულარიზმის მოდელი ლაიციზმია, რომელიც საჯარო სივრცეებში თრგუნავს მუსლიმების რელიგიურ იდენტობას. შედეგად, ჩნდება გაორების განცდა, როდესაც მუსლიმები ვერ ახერხებენ ბოლომდე რესპუბლიკური იდეების მიღებას და ამავე დროს შერყეულია მათი პირვანდელი იდენტობაც. წინააღმდეგობის ფონზე, მუსლიმები თვითდამკვიდრებას რელიგიური იდენტობის გაძლიერების ხარჯზე ცდილობენ, რომელიც რესპუბლიკური ჩარჩოდან გამომდინარე მიუღებელია. სწორედ ამ ეტაპზე ერთვებიან ტერორისტული ორგანიზა-

ციები და სწორად გათვლილი რიტორიკით აწვდიან იმ აღიარებას, რომელიც ასე ძალიან სჭირდებათ.

ტერორისტების დიდი ნაწილი რადიკალიზაციის გზას სწორედ საფრანგეთში, ქვეყნის შიგნით გადის. ამის ერთ-ერთი მთავარი წყარო საფრანგეთის ხისტი ინტეგრაციის მოდელია, რომელიც განსხვავებით სხვა ევროპული მოდელებისგან საჯარო სივრცეებში თავისუფალი გამოხატვის დათრგუნვას ცდილობს. რესპუბლიკური აზროვნების მიხედვით, ეს ხელს უწყობს ერის ერთიანობას, რადგან საჯარო სივრცეში ყველა გაერთიანებულია მხოლოდ რესპუბლიკური ღირებულებების გარშემო და მათი დიფერენცირება სხვადასხვა ნიშნებით არ ხდება. თუმცა, როგორც ნაშრომიდან ირკვევა, ეს მოდელი პრაქტიკაში პირიქით ხელს უწყობს მუსლიმების გამორიცხვას ფრანგული საზოგადოებიდან.

პრობლემის მიუხედავად, საფრანგეთისთვის რთულია ამ მოდელის გადახედვა და კონკრეტულად ლაიციზმის პრინციპის დათმობა, რადგან მას რესპუბლიკის საერთო ცნობიერებაში ისტორიულად უმნიშვნელოვანესი როლი აქვს და ემოციურ დონეზეც ფრანგული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, როდესაც მისი კრიტიკოსები ამბობენ, რომ საჭიროა ამ პრინციპის გადახედვა, რადგან ის თრგუნავს მუსლიმების იდენტობას, თავის მხრივ ნიშნავს რომ ამ პრინციპზე უარის თქმა ან რაიმე ფორმით დათმობაზე წასვლა იწვევს ფრანგული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერის დათრგუნვას. სწორედ ეს არის მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც ისლამური და ფრანგულ იდენტობების კონფლიქტში ვლინდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Alouane, R.-S. 2021. “Publicly French, Privately Muslim: The Aim of Modern Laïcité.” Berkley Center for Religion, Peace, and World Affairs. *Berkley Forum*, May 13, 2021. https://berkleycenter.georgetown.edu/responses/publicly-french-privately-muslim-the-aim-of-modern-laicite.

Bader, V. 1997. “The Cultural Conditions of Transnational Citizenship: On the Interpretation of Political and Ethnic Cultures.” *Political Theory*, 25: 771–813.

Bawer, B. 2006. *While Europe Slept: How Radical Islam is Destroying the West from Within.* New York: Broadway Books.

Bowen, J. R. 2007. *Why the French Don’t Like Headscarves: Islam, the State, and Public Space.* Princeton: Princeton University Press.

Hennette-Vauchez, S. 2019. “Religious Neutrality, Laïcité and Colorblindness: A Comparative Analysis.” *Cardozo Law Review*, Vol. 42, no. 2. http://cardozolawreview.com/religious-neutrality-laicite-and-colorblindness-a-comparative-analysis/.

Hooker, R. 2019. *Arkan ad-Din the Five Pillars of Religion.* United States: Washington State University.

Khosrokhavar, F. 2006. *Quand Al Qaïda Parle: Témoignages Derrière les Barreaux.* Paris: Grasset.

Klausen, J. 2005. *The Islamic Challenge: Politics and Religion in Western Europe.* New York: Oxford University Press.

Ministère de l’Europe et des Affaires étrangères. France Diplomacy. 2020. “Fight Against Separatism – The Republic in Action: Speech by Emmanuel Macron, President of the Republic, on the Fight against Separatism (Les Mureaux, 02 Oct. 2020).” https://www.diplomatie.gouv.fr/en/coming-to-france/france-facts/secularism-and-religious-freedom-in-france-63815/article/fight-against-separatism-the-republic-in-action-speech-by-emmanuel-macron.

Observatoire de la Laïcité. 2017. Freedoms and Prohibitions in the Context of “Laïcité” (Constiturional Secularism). https://www.gouvernement.fr/sites/default/files/contenu/piece-jointe/2017/02/libertes_et_interdits_eng.pdf.

Schor, N. 2001. “The Crisis of French Universalism.” *Yale French Studies*, no. 100 (2001): 43–64.

The Global Terrorism Index. 2020. https://visionofhumanity.org/wp-content/uploads/2020/11/GTI-2020-web-1.pdf.